ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

ისტორია

II ტური

X-XII კლასები

2020-2021 სასწავლო წელი

ინსტრუქცია დავალებებისთვის 1-2 : ქრონოლოგიური პრინციპით დაალაგეთ მოცემული ინფორმაცია. პასუხები დააფიქსირეთ უჯრებში. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. **ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქალაქები მათი დაარსების დროის მიხედვით:**

    1. ალექსანდრია
    2. იერუსალიმი
    3. რომი

2. **ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი ბერძენი ისტორიკოსები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით:**

1. სტრაბონი
2. პლუტარქე
3. ჰეროდოტე

ინსტრუქცია დავალებებისთვის 3-5 : ერთმანეთს შეუსაბამეთ ორ სვეტში მოცემული ინფორმაცია. თითოეული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 4 ქულა.

3. დაადგინეთ შესაბამისობა ისტორიულ რომანებსა და მათში განვითარებულ ისტორიულ მოვლენებს შორის:

	ისტორიული რომანი		**ისტორიული მოვლენა**
A	93 წელი (ჰიუგო)	1	ამერიკის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის
B	ვის უხმობს ზარი (ჰემინგუეი)	2	რელიგიური ომები საფრანგეთში
C	მონტესუმას ასული (ჰაგარდი)	3	საფრანგეთის დიდი რევოლუცია
D	დედოფალი მარგო (დიუმა)	4	ინგლისის რევოლუცია
		5	ესპანეთის სამოქალაქო ომი
		6	დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები

4. დაადგინეთ შესაბამისობა ისტორიულ ღირშესანიშნაობასა და ქალაქის სახელწოდებას შორის, სადაც ის მდებარეობს:

	ხუროთმოძღვრული ძეგლი		ქალაქი
A		1	ბარსელონა
B		2	პიზა
C		3	პარიზი

D		4	ბუდაპეშტი
		5	ლონდონი
		6	ფლორენცია

5. **დაადგინეთ შესაბამისობა პორტრეტსა და მასზე გამოხატულ ისტორიულ პირს შორის:**

	პორტრეტი		**ისტორიული პირი**
A		1	თეიმურაზ I
B		2	ერეკლე I

C		3	ლევან II დადიანი
D		4	გიორგი სააკაძე
		5	ვამეყ დადიანი
		6	როსტომ ხანი

ინსტრუქცია დავალებისთვის 6.: *ყურადღებით დააკვირდით ფოტოებს და უპასუხეთ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური შეფასებაა 7 ქულა.*



კითხვები:

(1) 6.1. დაასახელეთ პიროვნება, ვის სახელსაც ატარებს ცივილიზაცია, რომელსაც მიაკუთვნებენ ილუსტრაციებზე ასახული ნაგებობის ნაშთებსა და მათ რეკონსტრუქციას.

(2) 6.2. რომელ კუნძულსა და რომელ ქალაქში მდებარეობს ილუსტრაციაზე ასახული ნაგებობის ნაშთები?

(2) 6.3. დაასახელეთ არქიტექტორი, რომელმაც, გადმოცემის მიხედვით, ააგო ილუსტრაციებზე ასახული ნაგებობა და რა სახელითაა ცნობილი ამ ტიპის ნაგებობები?

(2) 6.4. რომელი მითიური არსება ცხოვრობდა ილუსტრაციაზე ასახულ ნაგებობაში და, გადმოცემის მიხედვით, ვინ მოკლა ის?

<u>ინსტრუქცია დავალებისადმი 7 :</u> თქვენს წინაშეა ტექსტი, რომელშიც ერთ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტზე - ყუთლუ-არსლანის დასის მოძრაობასა და მის სოციალური შემადგენლობაზე - ორი განსხვავებული პოზიციაა წარმოდგენილი.
ყურადღებით გაეცანით ტექსტს, ხოლო შემდეგ ჩამოაყალიბეთ არგუმენტირებული ესე ტექსტში წარმოდგენილ თემაზე.

გაითვალისწინეთ, ესეში აუცილებლად უნდა აისახოს:

1. განსხვავებული მოსაზრებები ყუთლუ-არსლანის დასის სოციალურ შემადგენლობის შესახებ;
2. არგუმენტები, რომლებითაც ეს შეხედულებები არის გამყარებული;
3. ყუთლუ-არსლანის დასის მოძრაობის მნიშვნელობის შეფასება. გაამყარეთ არგუმენტებით თქვენი თვალსაზრისი მსოფლიოს სხვა ქვეყნებში განვითარებული ანალოგიური მოვლენების გათვალისწინებით.

- ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული.

- გაითვალისწინეთ: ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა არ აღემატება 120 სიტყვას.

- ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული დავალება მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

- დავალების მაქსიმალური შეფასებაა 9 ქულა.

ყუთლუ-არსლანის დასის სოციალური შემადგენლობა

„ორგვარადაა გაგებული ყუთლუ-არსლანის დასის სოციალური შემადგენლობის საკითხი.

პირველი თვალსაზრისით, ყუთლუ-არსლანის დასელები დიდგვარიანი ოპოზიციონერები არიან, რომელთა მოძრაობაც მიზნად ისახავს მათი საგვარეულო ინტერესების შემდგომ გაფართოებას.

მეორე თვალსაზრისის თანახმად კი, გაფიცულები უგვარო, დაბალი სოციალური წარმოშობის, „სიმდიდრით აღზევებულნი“, ანუ მესამე წოდების წარმომადგენლები არიან და დასში არსებითად შედიან მდიდარი მოქალაქეები.

განსაკუთრებით მიუთითებენ იმ არგუმენტზე, რომ ყუთლუ-არსლანის გაფიცვის შემდეგ დაწინაურებულ პირთაგან ისეთი, როგორიც იყო, მაგალითად აბულასანი, მესამე

წოდების – მოქალაქეთა წრიდანაა გამოსული. ეს კი საკმარისი გარანტიაა იმის საფიქრელად, რომ თვით დასელებიც მდიდარი მოქალაქეები იყვნენ. თუმცა ყუთლუ-არსლანის გამოსვლა არ შეიძლება მივიჩნიოთ მარტოოდენ მდიდარი მოქალაქეების მოძრაობად, ვინაიდან დასელთა მოთხოვნები შეუძლებელია არ დამთხვეოდა დიდგვარიან ფეოდალთა სწრაფვას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომ ამ ჯგუფში შედიოდნენ ის დიდებულებიც, რომელთა ინტერესებიც გარკვეულ ვითარებაში ემთხვეოდა საქალაქო წრეების ინტერესებს...

ყუთლუ-არსლანის დასი მესამე წოდების წარმომადგენელთაგან რომ შედგებოდა, თითქოსდა იქიდანაც ჩანს, რომ დასი გამოდიოდა ტიპიური მესამე წოდების პროგრამით. ამ უკანასკნელში მთავარი ელემენტი იყო ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნა.

აზრი, რომ ყუთლუ-არსლანი და მისი დასელები „სიმდიდრით აღზევებულები“, უგვაროთა, მესამე წოდების წარმომადგენლები იყვნენ, უცილობელი სახით ძნელი მისაღებია. ძნელია მაგალითად, ყუთლუ-არსლანის მდაბიო წარმოშობის წარმოდგენა მარტოოდენ თამარის ისტორიკოსის ოდიოზური გამოთქმების (ჯორი, ბიჭი) მიხედვით, ვინაიდან, თუ ამ გამოთქმებით იმის მტკიცება შეიძლება, რომ ყუთლუ-არსლანი მდაბიო წარმოშობისა იყო, იმის ფიქრიც შეიძლება, რომ ამით ავტორს, უბრალოდ მიზნად ჰქონდა ყუთლუს დამცირება. ასევე ძნელია ყუთლუ-არსლანის მდაბიო წარმოშობის პირად მიჩნევა იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ გიორგი III-მ თავისი მეფობის ბოლო პერიოდში სახელმწიფო თანამდებობებზე მხოლოდ დაბალი სოციალური წარმოშობის პირები - უგვაროები დააწინაურა და რადგან ყუთლუც მეჭურჭლეთუხუცესად ამ დროს იქნა დანიშნული, საფიქრებელია, რომ ისიც უგვარო უნდა ყოფილიყო. ... არსაიდან არაა ცნობილი, რომ გიორგი III-ის მიერ დანიშნული მოხელეები მისი მეფობის ბოლო ხანებში ყველანი უკლებლივ უგვაროები იყვნენ. …

გარდა ამისა ის ფაქტი, რომ 1184 წელს თავიანთი პირველი გაფიცვის დროს დიდგვარიანი ოპოზიციონერები, რომლებიც უგვაროების წინააღმდეგ ილაშქრებენ, არსად არ მოითხოვენ ყუთლუ-არსლანის გადაყენებას, უფრო იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იგი არ იყო უგვარო... თანაც ყუთლუ-არსლანი სწორედ იმ დროს გააქტიურდა და შეეცადა ამირსპასალარი გამხდარიყო, როცა ოპოზიციონერების ბრძოლა უგვაროების წინააღმდეგ წარმატებით დასრულდა.

ყუთლუ-არსლანის დასელთა მესამე წოდებისადმი მიკუთვნება არ ხერხდება მარტოოდენ მათი მეთაურის პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვითაც, ვინაიდან მისი

იდეოლოგიის ძირითადი ელემენტი - ხელისუფლების დანაწილების თეორია საკმაოდ ძველია. მას იცნობდნენ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ისე როგორც შუა საუკუნეებში და ამასთანავე თავიანთ პოლიტიკურ ბრძოლაში იყენებდნენ არა მარტო მესამე წოდების, არამედ ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებიც. მესამე წოდების განსაკუთრებული მიმართება ხელისუფლების დანაწილების თეორიასთან მხოლოდ ისაა, რომ მან ამ თეორიას დასრულებული სახე მისცა და თავისი პოლიტიკური იდეოლოგიის ძირითადი საყრდენის როლი მიანიჭა.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979 წ., გვ. 304-309.